განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა დღეს არსებულმა საკანონმდებლო რეგულაციამ, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიას არაწინასაარჩევნო პერიოდში ეკრძალება მაუწყებლის მომსახურების შესყიდვა, რაც ზღუდავს მათი იდეებისა, წამოწყებებისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მოიხსნას დღეს მოქმედი საკანონმდებლო შეზღუდვები და პოლიტიკურ პარტიებს არაწინასაარჩევნო პერიოდში მიეცეთ საშუალება მათი იდეებისა, წამოწყებებისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყონ დაუბრკოლებლად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
კანონპროექტის ძირითადი არსია პოლიტიკურ პარტიებს არაწინასაარჩევნო პერიოდში მიეცეთ შესაძლებლობა შეისყიდონ მაუწყებლებისაგან პოლიტიკური შინაარსის რეკლამის მომზადებისა და გავრცელების მომსახურება.
ამასთანავე, ტერმინთა განმარტებაში შემოდის ახალი ტერმინი - ,,არაწინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამა“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის ამოქმედება საქართველოში რეგისტრირებულ 200-მდე პოლიტიკურ პარტიას შესაძლებლობას მისცემს არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამა განათავსოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში, ათამდე საერთო ეროვნულ და სხვა ათეულობით კერძო მაუწყებელზე, მათ შორის რეგიონულ მაუწყებლებზე, რაც ზეგავლენას მოახდენს მათ და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლებზე.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზეგავლენა დამოკიდებილი იქნება პოლიტიკური პარტიების მიერ არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის მომზადებისა და გავრცელების მომსახურების შესყიდვის ღირებულებაზე.

აღსანიშნავია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2017 წელს წინასაარჩევნოდ პოლიტიკური რეკლამის ღირებულება წუთში „რუსთავი 2“ -ის ეთერში 2000–5000, ,,იმედზე“ 2900-3000, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში 700-3500, საზოგადოებრივ მაუწყებელზე 1000-5000, ,,ობიექტივზე“ 60-100, ტკ ,,რიონზე“ 700-950 ლარის ფარგლებში მერყეობდა. ასევე, 2018 წელს პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ვიდეორგოლების მედია-კავშირ „ობიექტივის“ ეთერში განთავსების ღირებულება წუთში დაახლოებით 300 ლარს შეადგენდა.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს რაიმე ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საქართველოში რეგისტრირებული 200-მდე პოლიტიკური პარტიის ხარჯების ზრდა, რამაც შესაბამისად შესაძლებელია საზოგადოებრივი მაუწყებელის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, ათამდე საერთო ეროვნული და სხვა ათეულობით კერძო მაუწყებელის, მათ შორის რეგიონული მაუწყებლებლების შემოსავლები გაზარდოს.
ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.
გ.გ) **კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან
ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ბექა ფერაძე; ბესიკ ცქიფურიშვილი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს
ე) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია: პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირმა ინაშვილი.